ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№10.30/10/035

ქ. თბილისი 24 მარტი 2014 წელი

ერთის მხრივ **ქ. თბილისის ჩულურეთის რაიონის გამგეობა**, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №65 (შემდგომში „შემსყიდველი"), რაიონის გამგებლის – **დავით დაღელაშვილის** სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. სხივი,** მდებარე: ქ. თბილისი, ვაზისუბნის II მ/რ კორპ.№11 ბინა 73 (შემდგომში „მიმწოდებელი"), ხელმძღვანელის **ავთანდილ წანაწყენიშვილის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 შესყიდვის ობიექტია: **ქ. თბილისის ჩულურეთის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობიაში არსებული სველი წერტილებისათვის სანტექნიკის ნაწილების შესყიდვა.**

1.2 კლასიფიკატორის კოდი 44411000

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **258.00 (ორასორმოცდათვრამეტი) ლარს.**

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოხდება ერთჯერადად **ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარულ დღეში.**

3.2. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ჩულურეთის რაიონის ტერიტორია.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე. **2014 წლის 31 მაისამდე.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიწოდებულ საქონელზე, მათ შორის ეტაპობრივზე, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი წერილობითი ფორმით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს" წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

6.3. წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.

6.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.

6.5 იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, „შემსყიდველი" უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე.

6.6. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

7.3. წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.

7.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ

არაუმეტეს 10(ათი) საბანკო დღის ვადაში.

7.5. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ფორს-მაჟორული პირობების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოი ენება საჯარიმო სანქციები.

8.6. ხელშ ეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხელოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხელო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ს.

8.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.10. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის (მიმწოდებელი) აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს ერთ თვეში.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

9.6. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების

თაობაზე. ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10.3. „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.6 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურეობის ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **გამგეობის აპარატის სპეციალისტი გიორგი გაჩეჩილაძე;**

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები.

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა

და რისკით.

14.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

14.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

14.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ქ. თბილისის ჩუღურეთის
რაიონის გამგეობა
ს/კოდი: 202467320
მის: ქ. თბილისის, დავით აღმაშენებლის გამზ№65
ს.ს „ლიბერთი ბანკი" ცენტრ. ფილიალი
ა/ა № GE95LB0125152101627000
ბანკის კოდი LBRTGE22

„მიმწოდებელი"

შ.პს "სხივი"
ს/კ 406100071
მისამართი: ვაზისუბნის II მ/რ
კორპ № 11 ბინა 73
ს.ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბ/კ UGEBGE22
ა/ა № GE92VT6500000707773605

ტელეფონი 599 74 70 34

დ. დაღელაშვილი

ა. წანაწყენიშვილი

დანართი №1

ქ. თბილისის, ჩუღურეთის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში
არსებული სველი წერტილებისათვის საჭირო მასალების
ფასების ცხრილი

№	მასალები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1	2	3	4	5	6
1.	ხელსაბანის წყალშემრევი	ცალი	3	20	60
2.	ჩამრეცხი ავზის მოწყობილობა	კომპლექტი	4	40	160
3.	ბიდეს ონკანი	ცალი	1	20	20
4.	უნიტაზის მოქნილი მუხლი	ცალი	1	10	10
5.	პაკლი დიდი	ცალი	1	3	3
6.	სილიკონი	ცალი	1	5	5
	სულ ჯამი				258

მიმწოდებელი: შპს „სხივი"

GEORGIA "SKHIVI" LTD
406100071

წერილი
სახელმწიფო შესყიდვის
(ხელშეკრულება №10.30/10/035 24.03.2014 წელი)
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებისას ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ.

ქ.თბილისი 24 მარტი 2014 წელი

ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2014 წლის "24" მარტს გაფორმებული №10.30/10/035 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ – რაიონის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული სველი წერტილებისათვის სანტექნიკის ნაწილების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

რაიონის გამგებელი _____ დ. დაღელაშვილი

გამგეობის
აპარატის სპეციალისტი _____ ბ. ბაჩეჩილაძე